“ცდკა” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

15 ივლისს ლ.პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ წითელი არმიის ცენტრალური სახლისა (“ცდკა”) და თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

მატჩი მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით – 4:1.

“კომუნისტი”, 17 ივლისი 1945 წ.

მსაჯის დახმარებით

15 ივლისს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ”დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ წითელი არმიის ცენტრალური სახლისა და თბილისის “დინამოს” გუნდები.

ამ მატჩს მოუთმენლად მოელოდნენ ფეხბურთის მოყვარულნი, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ თბილისელები ამჯერად მონდომებით ითამაშებდნენ და ღირსეულად დაიცავდნენ თავიანთ სპორტულ პრესტიჟს. ასეც მოხდა, ისინი შესანიშნავად თამაშობდნენ, მაგრამ შედეგი სულ სხვა აღმოჩნდა.

მატჩი დაიწყო სწრაფი ტემპით. აქტიური თამაშით თბილისელები მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე მიიჭრნენ, შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს და პაიჭაძის მიერ ოსტატურად დარტყმული აუცდენელი ბურთი მოსკოველთა კარებში გაეხვია, მაგრამ ანგარიში მალე შეიცვალა: მე–16 წუთზე მოსკოველმა დიომინმა “პენალტით” საპასუხო ბურთი გაიტანა. თბილისელთა მძაფრი შეტევის ერთ–ერთ მომენტში “პენალტით” დაჯარიმდნენ სტუმრები. “პენალტის” ოსტატმა მ. ბერძენიშვილმა მეორე ბურთი მოაქცია ცდკა–ს ბადეში. 2:1 თბილისის სასარგებლოდ. ამით დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმის პირველივე წუთზე მოსკოველებმა მოულოდნელი იერიშით მეორე ბურთი გაიტანეს – 2:2. ამის შემდეგ თბილისელებს ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ კარში არაზუსტი დარტყმის (რაც, სამწუხაროდ, დინამოელთა მთავარი ნაკლია) შედეგად ანგარიში არ შეცვლილა. მოსკოველები განსაკუთრებული მონდომებით იბრძვიან, რათა მატჩი არ დამთავრდეს ფრედ. ამ სურვილის განხორციელებაში მათ ხელი შეუწყო… მსაჯმა. მოსკოველმა მსაჯმა ბოგდანოვმა ცდკა–ს კარი გადაარჩინა ერთი ნაღდი ბურთისაგან. იგი შესანიშნავად “იჭერდა” თბილისელთა ათივე მოთამაშეს და ძალზე ტენდენციურად სჯიდა თამაშს.

ფედოტოვმა და ბობროვმა ორი ბურთი ზედიზედ გაიტანეს და მატჩი დამთავრდა ანგარიშით 4:2 ცდკა–ს სასარგებლოდ.

ა. ფიქრისგორელი.
“კომუნისტი”, 17 ივლისი, 1945 წ.